

მწყემსი

საქართველო
გაზეთთა კავშირი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდღის ცხოვრათთვის. (იოან. 10 — 11).
 მკოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრუთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთსთვის ცოდვილსა. (ლუკ. 15—1).
 მოვედით ზემდა ყოველნი მამურაანი და ტვირთ-მძიმენი და მე განჩისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 8

1883—1896

30 აპრილი

გაზეთის ფასი:

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვით 3 მან.	12 თვით 5 მან.
6 — 2 —	6 — 3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Копенгагъ, въ редакцію „Миссѣмъ“ и „Пастыръ“.*

შეუღა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიცა იქმნებოან დასაბუქდავით გამოგზავნილი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყვენ ავტორთაგან ხელ-მოწერილინი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვისი განაგებობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილინი და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ორი საუზრადღებო განაგრზულვაბა ყოვლად საგვდვლო ბასარიონისა.

წარსული წლის ივნისის 15 რიცხვიდან დროებითად მართავს იმერეთის ეპარქიის სამწყსოს ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად სამდგდლო ბესარიონი. ამ მცირე დროის განბავლობაში მათმა ყოვლად უსმდგდლოესო

ბამ მოასდინა ორი განკარგულება, რომელნიც სანასსოგროდ დამთებიან დიდ სანს იმერეთის სამდგდლოებაში და სასოგადოებაში. შირველი განკარგულება შეეხება სანთლის ქარხნის გაუმჯობესობის საქმეს და მეორე ყოველ კვირა დღესასწაულ დღეებში ქადაგებას წარმოთქმას ქუთაისის კათედრის ტაძარში ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ წმინდა სანთლის წარმოების

საქ. სრ. კ. შარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

საქმე მათმა ეოვლად უსამღველოებისამ მია-
 ნიჭა სამღველოებას და წარსული წლის
 დეკემბრისთვის რაცხვიდან სამღველოების მიერ
 არჩეული კომიტეტი განაკებს სანთლის საქმეს ამ
 კომიტეტმა დროებით ვიდვა სანთლისა სანთლის
 ქარხნის საწვობაში, როგორც ადრეაძალი კანო-
 ნით, მოსწო. რამდენად უკეთესად და უფრო სა-
 სარგებლოდ მიდის დეკ სანთლის წარმოების
 საქმე, ამას დანახავს მეთხველი სანთლის ქარ-
 ხნის ანგარიშისაგან, რომელიც იქნება დაბეჭ-
 დილი და გამოცხადებული ამ მოკლე დროში.

მეორე განკარგულება ეოვლად სამღველო-
 ლოსი შეესება ქუთაისის კათედრის ტაძარში
 რიგ-რიგობით ეოველ კვირა და დღესასწაულ
 დღეებში ქადაგების წარმოქმნის სამღველო-
 ებისაგან. ეველგან კათედრის ტაძრებში შექო-
 დებულია ქალაქის სამღველოებისაგან ეოველ
 კვირა-დღესასწაულ დღეებში ქადაგების წარმო-
 თქმა. ქუთაისის კათედრის ტაძარში დღემდის
 ეს წესი არ ეოფილა. ზოგიერთები ამბობენ,
 რომ ეს წესი ქუთაისის კათედრის ტაძარში
 არ ეოფილა წინეთ, რადგან იმისთანა ქადაგე-
 ბელი მღველო-მთავრის დროს, როგორც
 იყო განსვენებული მღველო-მთავარი კაბრიე-
 ლი, საჭირო არ იყო სხვისი ქადაგებათ. ჩვენის
 ფიქრით ეს შექცდარი აზრია. მართალია, ეოვ-
 ლად სამღველო კაბრიელი შესანიშნავი ქა-
 დაგებელი იყო, მაგრამ მათ მეუფებებს განა ძველო,
 რომ კათედრის ტაძარში ეოველთვის წარმოეთ-
 ქვა ქადაგება? ეოვლად სამღველო სმირად
 ეპარქიაში დაბანდებოდა და შემეტყნად სოფ-
 ლის ეველქებისში ხვდებოდა წირვა და ქადაგე-
 ბა; ამ დროს კათედრის ტაძარში ქადაგების
 სმა არ იმყოფა. ეოვლად სამღველო ბესარი-

ონმა წარსულ წელშივე ვალად დაუდგინა ქალაქის
 სამღველოებას, რომ მათ რიგ-რიგობით ქადა-
 გება წარმოეთქვათ კათედრის ტაძარში. ზოგი-
 რთები, მართალია, ამისთანა სავალდებულო
 წარმოთქმულ ქადაგებათაგან დიდ სარგეი-
 ლობას არ გამოეოიან, მაგრამ ესეც შექცდარი
 აზრია. ამ ქადაგებულთა მორის სმირად გამო-
 ერგებან ნიჭიერნი მეთხველი სანთ-
 ბის სწავლისა და მათგან დათესილი
 თესლიც თუ ეველა მსმენელთა გულში არა
 ზოგიერთებისაში მაინც მოიპოებს ზოსიერს
 ნინადგს და შესაფერ ნაეოფს გამოიღებს. ერთ
 ამისთანა სიტყვით მიგვანია ჩვენ სიტყვა, წარ-
 მოთქმული მდ. ი. მავლადისაგან მენელსაც-
 ხებულთა კვირიაკეს. ეს სიტყვა ამ ნომერშივე
 იბეჭდება და მიუახლოვთ მეთხველთა ეურად-
 ლებას. დმერთმან ჰქნას, რომ სმირად თქმუ-
 ლიეოს ამისთანა ციცხალი და მსმენელთა გან-
 გები ერთ ქადაგებანი, არა მარტო კათედრის
 ტაძარში, არამედ ეველა ჩვენს ეკლესიებში.

გვ. 4. დ. მ. მ. მ. მ.

ავაჯცობის კარცელებს ამ ჩვენს დროში სარ-
 მქონობის დამცირების მახეზია.

ადგილობით გაზეთებში სმირად ვკითხულობთ
 ავაჯცობის საზიზარს და შემაწუხებელს მოქმედებს.
 ისე დღე არ გავა, რომ არა თქვან, ამა და ამ
 ადგილს ავაჯცობი ოჯახს დაეცნენ და გაგლიჯესო,
 ესეც აღარ დააჯერეს, გაკარცული წუთი სოფელსაც
 გამოათხოვესო და მისი სახლობა უნუ ეგეზოთ უმა-
 ტრონით დასტოვესო. ამ ვაჯ-ბატონების თავდასულო-
 ბა იქამდე მიდის, რომ დღისითაც კი უშიზრად შე-
 დიან ოჯახში. ვისაც ფულს ან კარგს ცხენს ევე-

სტამბა
 ტფილისი
 ცენტრალური



ლებიან, შეუთვლიან, გამოგვიგზავნენ, თორემ შვედლეს დაგაყენებთო..

მმართველობა ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, რომ მეკიდრნი დაიფაროს ამ თავზე ხელ-აღებულ-თაგან, მაგრამ ცარცვა-გლეჯამ არა თუ ეკლო, თანდა-თან მატულობს, თითქო მართველობის განკარგულებას ჯინზე უდგებიანო.

ამ ბოლო დროს ერთი საშვალბაც გამოჩნებას ამ ბოროტების მოსასპობათ: ყოველს სოფელში და-აყენეს რამდენიმე კაცი, ხევის თავებად წოდებულნი, რომ მათის მეცადინობით ავკაცობა შემცირებულიყო. წარსულს წელში რაჟაში დახვდენ რამდენიმე ავაზაკნი სავაჭროთ მიმავალს ურიებს, ამათგან რამდენიმე მოკლეს და დატრეს ავაზაკებმა. ამ ავაზაკთა შორის, როგორც ხმა ისმის, მამასახლისის „პომოშნიკი“ ყოფილა. უწინდელს დროში არ ყოფილა ამდენი ავკაცობა, თუმცა მაშინდელზე დღეს უფრო დიდი ყურადღება მიტყეული მართველობისაგან ავაზაკების წინააღმდეგ. უწინ სად იყო მომრიგებელი მოსამართლეები ან პოლიციის ბოქაულები და მათი თანაშემწენი და სოფლის მოხელეები? მასრაში იყო ერთი მხოლოდ მასრის უმფროსი და მისი კანცელარიის რამდენიმე მოსამსახურე, „უჩასტკის ნაჩაღნიკები“ და სასულიერო პირებიც როგორც მღვდელ-მთავრები ისე სამღვდლოება უმეტესად ხალხის დამწყესავზე ფიქრობდენ. მაშ რა მიზეზია ავაზაკების გამრავლებისა ამ ჩვენ დროში? ავაზაკების გამრავლების მიზეზი უნდა მივაწეროთ სარწმუნოების დამცირებას. ჩვენი ძველები მტკიცედ ინახავდნენ სარწმუნოებას და ავკაცობაც ძვირი მოვლენა იყო მაშინ, ესლა კი სარწმუნოების დამცირებამ ავკაცობის რიცხვი გაამრავლა და სასოგადოება მეტათ შეაწუხა.

ავაზაკების გამრავლება სარწმუნოების დაცემის მიზეზი არის-მეტქი, მაგრამ სარწმუნოება რაღამ შეამცირა, მაშინ როდესაც, როგორც ვსთქვით, სამღვდლოება უწინდელზე უფრო ნასწავლია ესლა.

ერთი რუსის დეკანოზი კოვალნიცი თავის წიგნაკში *Притоны нехриян* უბრაბს, სხვათა შორის, რომ ზოგიერთებს ჰგონიათ, ძველ დროში გაუწათლებელი ხალხი ესხა და ესლა მეტი სწავლულები არიანო და მისი ბრალია სარწმუნოების შემცირებამო, მაგრამ ის ამას უარსა ჰყოფს; იგი ამტკიცებს, რომ არც უწინ ყოფილან ეხლანდელზე ნაკლები სწავლულები და მაგალითებიც მოჰყავს, მაგრამ მარტო ეს არ არის მიზეზი სარწმუნოების დამცირებისა. ჩემის აზრით სარწმუნოების შემცირების მიზეზი ის არის, რომ ხალხს თანდა-თან ესპობა თავისი მამა-პაპეული ძველი ჩვეულებანი. მაგალიდად: ხალხს ჰქონდა ჩვეულებათ თავისი ყმაწვილის მონათელის დროს ერთი ნათლია უნდა ყოფილიყო, თუნდა ქალისთვის კაცი, თუნდა ვაჟისთვის ქალი. მღვდელი ნათლიას მისცემდა ჩხირს და ის მღვდლის ხელმოკიდებული ნათლიის ხელზედ ყმაწვილს სცხებდა მირონს, ეს ნათელა ისეთ სწამდა მთელს სახლობას, რომ როგორც ნათლი-მამის ისე ნათლი - დედისთვის ისინი იყენენ ნათესავები, ასრვეე მიაჩნდათ ნათლი-მამის ნათესავებსაც. ესლა შემოღებულ იქმნა ორი-სამი და მეტიც ნათლიები, მაგრამ ხალხის გასაოცრად ერთია მხოლოდ ამ ნათლიებში ნათესავი და ისიც მარტო ნათლი-მამის და ნათლი-დედის. ნათესაობა არ გადადის გვერდზე და არც უკან ბრუნდება; ხალხი ამბობს, ან წინეთ რათ იყო ერთი ნათლია და ან ესლა რათ არის მეტი და თუ მეტია საქირო ნათლიეები, რამტელიც უნდა იყენენ, ყველა ფუცავენ, რომელსაც ხალხი ფიცს ეძახის, ყველას უკავია ხელში ყმაწვილი, ყველა უფლის ემბაზის გარშემო და რა მიზეზია, რომ ამათში მარტო ერთია ნათესავი და სხვა არაო. დედა-კაცი რომ ძეობიდან მოარჩება, მაშინვე მღვდელს მოიწოდებენ და აიხაზას გარდაახდენებენ, უამისოთ ჰურს არ სკამენ, შემდგომ აიხაზისა მღვდელი წაუკითხნავს მშობიარე დედაკაცს და ბებიას ლოცვას; ბებია ლოცვის დროს დაიწოქება და მღვდელი თავზე გარდააფარება ლოლარს და ისეთ წაუკითხავდა ლოცვას. ესლა გან-



კარგულდება ბებიას დაჩოქება და ოლარის თავზე გარდაფარება საქირო არ არისო. ოსეთში ვიყავი ახალ ნაკურთ მღვლად და ამ გვარის ლოცვის წაკითხვის დროს მე, ახალმა მღვდელმა, არ ვიცოდი, თუ ოლარი უნდა დამეფარებია ბებისათვის თავზე. წარმოიღვინეთ ჩემი განკვირება, როცა ბებია და იჩოქა ჩემ წინ ლოცვის წასაკითხავათ, მან პატარა ხანს მიყურა და როცა, ოლარი არ დეაფარე თავზე, იმან თავისი ხელით აიღო ჩემი ოლარის ბოლო, თავის თავზე დაიფარა და ისეთ იყო ლოცვის შესრულებამდის. აი როგორ ღრმად სწამს ხალხს ჩვეულება და აქ რა არის სარწმუნოების წინაღმდეგი? მარხვაში სახსნილოს კვამი ხალხს დიდ ცოდვით მიაჩნდა წინეთ, სამღვდელთვად დიდ კანონს სდებდა იმ კაცს, ვინც მარხვის წესს დაარღვევდა. ეხლა რას ებედავთ? დღეს, თითქმის, ნახევრობა აღარ ინახავს მარხვის დღეებს; ხშირი შემთხვევაა, რომ ერთსა და იმავე სუფრაზე ზოგი სამარხოს მიირთმევს და ზოგი სახსნილოს, ასრე გვეგანებათ, ეს კაცები სხვა და სხვა სარწმუნოებისანი არიანო. სისხლის ნათესაობაზე ხალხმა ხარისხები არ იცოდა; თუ კი მისი გვარის იყო, ან სხვა ნათესაობა ჰქონდათ, თუნდა მითუთხმეტე ხარისხამდე ყოფილიყვნენ დამორბეული, მაინც ნათესავებათ სთვლიდნენ ერთმანეთს და თუ ვინმე გაბედვდა თქმას, რომ მათ შორის ნათესაობა არ იყო, იმას ურწმუნოს-ურჯულოს ეძახდნენ და ზიზღის თვალთა უყურებდნენ.

გარდაიდეთ ეხლა თანამდებობის პირებზე, რომელნიც თავისი პატიოსნებით და ღვთის სათნო საქმეებით მაგალითი უნდა იყვნენ უსწავლელი ხალხისა მაგრამ რას ეხედავთ მათ შორის ამ ჩვენს დროში? იმატა გადაპრანჭული ცხოვრებისადმი მისწრაფებამ და სადაც უზომო ცხოვრებაა, იქ, რასაკვირველია, ურიგო და უწყესო მიღებაც თავს იჩენს; ძვირია მისთანა მოსამსახურე პირი, რომ თავის ჯამაგირს ჯერდებოდეს. ზოგიერთი მოსამსახურე პირები მეტისმეტათ ოსტატურათ იღებენ სასყიდელს საქმის გაკეთებისათვის: ესთქვათ, თანამდებობის პირთან საქმე გაქვსთ, ამ კაცს ჰყავს ერთი საიდუმლო პირი და იმასთან უნდა შრილიპარაკით და მისი შეამდგომლობით უნდა გარიგდეს საქმე. თქვენ სასყიდელს შეაძლევთ ამ კაცის საშუალებით

თანამდებობის პირს, მაგრამ რა გესმისთ, თქვენდა გასაკვირველოდ: „როგორ ბედვ იმასთან ამ გვარ საქმესო, განა არ იცი, რომ ეს პატონი სხვას არ ჰგავსო და ვინ გაუბედავს ქრთამის შეძღვევასო? ამის მთქველი სხვა რჩევას აძლევს მთხოვენოსო. ის ეუბნება: ამა და ამ კაცთან მიდი და ის ქრთამსაც მიიღებს და საქმეც გაგიკეთდებაო. ვინ არის მკითხველო ეს უკანასკნელი კაცი? ეს გახლავთ თანამდებობის პირის ნათესავი, ეს სასყიდელს მიიღებს და პირველი საქმეს აკეთებს და ზოგჯერ ვერც კი აკეთებს და სასყიდელი იკარგება, მაგრამ ვის უჩივლოს. თანამდებობის პირი აქ ხომ უმანკო ტრეფსა ჰგავს.

წარმოიღვინეთ, რომ ურიგო ცხოვრება ამ წესით სოფლის ცხოვრების, უარის მყოფლებსაც არ სტილდებათ, რამოდენი შური და მტრობაა მათ შორის! უბნობენ: თურმე ერთ უფროსს დაუწყებია მიპატივება ყველა წოდების კაცებისა, იმათ რიცხვში თურმე მანდილოსნებიც ბრძანდებიან, რომლებიც სმაში თურმე მამა კაცებს არ რჩებიან უკან; აქ უხადია, რომ სადაც ამოდენა ხალხი შეიკრებება, იქ უზომო სმაც იქნება და სადაც უზომო სმაც, იქ შეუსაბამო სიტყვებიც წარმოითქმის. ამას ხელდასხალი და უბნობს, თუ კი ამ გვარი საქმე ცოდად იყოს, სწავლული კაცები არ ჩაიდენდნენო და თვითონაც არ ერიდებიან ბოროტებას.

ორიოდე სიტყვით ვაქრებიც მოვიხსენოთ: ალბათ ვაქრებიც, ზემოთ მოხსენებულ მოსამსახურე პირების მიბაძვით, ძლიერ ურიგოთ ვაქრობენ. ერთი ორ ფასსაც ხომ აღარ ჯერდებიან, თუ დაახელოდეს და მსყიდველი ხელში ჩაიგდეს, აღარ სოგვენ, თავისი პატიოსნებას ფიქრობენ ჰყოფიან და ისრეთი ვაქარი, ორმედიც სინდისით ვაქრობდეს, ვარგი იქნება, თუ ასში ორს ან სამს შეხედვით. ყოველივე ესეები სარწმუნოების დამამკირებელია. სარწმუნოების დამამკირებელ მიზეზათ ჩაითვლება ისიც, რაც ელთანდელს დროში ეშმაკობა შემოიღეს ფულების შექმნისათვის როგორც ქარხნებში, ისრე სხვაფრივაც. ავიღოთ, თუნდა, ქალაქის ფაბრიკები, შეადარეთ ძველი დროის ქალაქები და ელთანდელი და დარწმუნდებით, რომ შესახედავთ თუმცა ელთანდელი ქალაქი დიდათ უკეთესია მყიდველის თვალის ასახამათ, მაგრამ ეხლა გასინჯეთ ორივეს სინამდვილე და დარწმუნდებით, რომ უკანასკნელი ათჯერ უფრო საიმედოა პირველზე. აგრე სამი წელიწადია,



რაც 30 წიგნი ვიყიდე ჩემი შკოლის შაგირდებისათვის; ეს წიგნები ისეთ სუსტ ქალღმერთს არიან დაბეჭდილნი, რომ ძლიერს ორ-სამ წელს გაუძლო ამ წიგნებმა, ისე დიხენ, რომ სახმარათ აღარ ვარგიან. რას მოასწავებს ეს, თუ არა იმას, რომ მისმა გამოცემა განგებ აღარჩია ასრე სუსტი ქალღმერთი, რომ მისგან გამოცემულ წიგნს მალე მოღებოდა ბოლო და ხელახლა გამოეცა. ამ სახით, რასაკვირველია, სარგებლობა ექმნებოდა, აქ ფულის სიხარბე როგორც ქალღმერთის გამოცემის ისრე მისი გამოცემის მხრით. სარწმუნოების დამკირების მიზეზია აგრეთვე ერთმანეთის უწყებლობა, მამა-შვილს ერთმანეთი აღარ სწამს, ძმას ძმა, ცოლს ქმარი და ქმარს ცოლი, მეზობელს მეზობელი და სხ. მათ რომ ერთმანეთი სრულიად დაღუბან, არ ენაღვლებათ. ამის შედეგია, რომ ხალხს ოჯახურ ცხოვრებაში წინ ვერ წაუწევია, ან კი როგორ წაიწვეს, როცა ერთის ზარალს რომ მეორე ხედავს, არა თუ არ ცდილობს მის მოსპობას, პირიქით უხარია კიდევ...

ჩვენ სასულიერო გავით „მწყემს“-ში ხშირად იყო ნათქვამი სარწმუნოების დამკირების შესახებ, მაგრამ მიზეზი არ იყო დასახელებული და არც ის თუ რა წამალი დაეღება ამ გვარს უბედურებას. მხოლოდ რჩევას აძლევს სამღვდლოებას, რომ მათ თავიანთი დაუღალავი მეცადინობით ხალხში განამტკიცონ სარწმუნოება, და მეორე საშუალებათ მიანიხიე შკოლების გამრავლება. ერთიც და მეორეც, რასაკვირველია, კარგი საშუალება არის. თუმცა მასწავლებლები თან-და-თან გვემატება, მაგრამ მათში ძლიერ ცოტას ნახავთ, რომ თავისს სწავლას და თავისს შრომას ნაღვს ამხარებდნენ. მათში ძლიერ ცოტაა ისეთი, რომ ხალხში დარიგებას და კეთილმავალითებს სთესავდეს და შკოლების გამრავლებას უცდიდნა და ზრუნავდეს. შკოლების გამრავლებას ვერ მოვხმარებ. სარწმუნოების განმტკიცებას, მართალია, შკოლის მასწავლებელი მასწავლის ყმაწვილებს უმეტეს ნაწილად საღმრთო სჯულს, აწვევებს კეთილ

მავალითებს, ეკლესიაზე სიარულს ეკლესიის წესებს, მაგრამ მასწავლებლიდამ ყმაწვილი თავის სახლში მიდის და იქ ყველა ამაგების წინააღმდეგ მოქმედებას ხედავს და აქ ვის გაუგონოს ყმაწვილობა, შშობლებს თუ მასწავლებელს? ცხადია, პირველს უმეტესად გაუგონებს, რადგან დედ-მამა უმეტესად უყვარს და მათი ხასიათიც ძუძუსთან აქვს შეზდილი; მე აქ ვამბობ საეკლესიო შკოლებზე და რაიცა შეეგება სამინიტრო შკოლებს, ისინი მე სახეში არა მაქვს, ვინაიდან ეს სკოლები საეკლესიო სკოლების წინააღმდეგ მოქმედებენ. იქ ვინ არის ყურის მგდებელი, რომ კვირა-უქმ დღეებში ყმაწვილი ეკლესიაზე წაიყვანოს, თვითონ მასწავლებელიც ძვირად გაიხლებათ ეკლესიაზე წირვა-ლოცვის მოსასმენად. ეს ბატონები დიდ მარხვაში და ისე მარხვა დღეებშიაც სახსნილოს გაიხლებიან და წარმოიდგინეთ აქ ყმაწვილობა რა უნდა ისწავლოს სამღრთო საკაცებო? საეკლესიო სკოლების გამრავლების საქმეც მძიმე ნაბიჯით მიდიდა და აქამომდე და ესხლა კი რადგან მასწავლებლებს ჯამაგირები ენიშნებოდა, იმედია, მათი რიცხვი მალე იმატებს და ესხლა რაც შკოლები არის, თითქმის ყველა კერძო პირებისაგან არის დაწესებული, სადაც თვითონ სკოლების დამმარსებელნი არიან მასწავლებლად. თუმცაღა ზოგიერთ მათში კერძო პირებიც მასწავლიან უჯამაგიროთ.

პო. რამსკონდენია,

სოფ. წესიდან «კვალს» წერენ შემდეგ აბზავს: ჯერ გამუდმებულმა წვიმებმა და მერე დიდმა თოვლიანობამ სოფელ წესს წყვად ექონია თავისი გავლენა სხვა მრავალ სოფლებთან. არც ეს სოფელი დატოვა გაუნადგურებელი. ამ ერთ გვირაში აქ დიდად სამწუხარო და

საკრედიტო ამავე მოხდა. ერთ ფერდოზე
სამოკავდე გლეხი იყო დასახლებული, გვართა:
მისაშვილები, კობერიძეები, ნატბელაძეები, გო-
გობერიძეები და კერესელიძეები. ის ადგი-
ლი, რომელზედაც ეს გლეხები ცხოვრებდნენ
თავის-საუხუნ ვენახებით იქმნებოდა სიკძით ორი
ვერსი და სიგანით ვერს ნახევარი. ეს ამოადენი
ადგილი სულ მთლიან დაიძრა მეწურისაგან,
იორ დაირია, ჩავარდა მიწაში სახლები, სასიმინ-
დეები სიმინდით, ბედლები ნამუშევართი სავსენი,
დაამტვრია ჭურები დვინით სავსენი. ერთი სი-
ტუვით, ამაზე საზარელ უბედურებას რაჭის
მაზრაში კაცი არ მოსწრებია. მეწერი რაჭაში
თუმცა ხშირათ უოფილა, მაგრამ ამისთანა მეწ-
ური ჯერ არ ავის ახსოვს. სოფელში გაისმის
ერთი წივილი-კვილი: ვინ აკვანს მარბინებს,
ვინ ბავშს იკიდებს ზურგზე, ეგება ცოცხალი
თავი მაინც გადაარჩინონ ამ საშინელი უბედუ-
რებიდან. ერთი აგერ იძახის: არიქა, ვინ ხარ
მამაცი, მიშველეთ. ჭური გამოტუდა და დვინო
მედვრება. მეორე აგერ იძახის: არიქა, მიშვე-
ლეთ! ბედელი დახვრება და დამედუშა ნამუშე-
ვარიო». არის ერთი ალიაქოთი. მაგრამ მიშვე-
ლელი ვინ არის? უკვლას უბედურობა აწუხებს.
ზოგიერთი გლეხი, მკერადი იმ გამოუთქმელი
უბედურებისა, გამტერებულა და თავის-თავის
შველის მაგივრათ, ხელ-კულ დაპრეფიციცოლ-
შიდით დატირის თავის ნაშრომ-ნადვარს და
სიმწით ამენებულ სახლ-კარს მიწაში შთან-
ქმულს. ამის მნახველს სწორეთ ქვის გული
უნდა ჰქონდეს, რომ, რაც შეიძლება, თანაგრ-
ძნობა და დახმარება არ აღმოუჩინოს მძლე-
ბისა-და გვართათ. ჩემ უსწავლელ და სუსტ
კალამს ამ უბედური შემთხვევის აწერა არ შე-
უძლია. ზარალი თუმცა გამოანგარნიშებული არ
არის, მაგრამ, ვგანებ, ასე აასია მანეთის მეტი
იუფეს. კიდევ ვგანებ, რომ ეს უბედურება უმე-
ტესათ დღისით ხდება, თორემ ხელნი დაადუ-
შებოდა და მოჭყვებოდა მიწაში, ასე რომ კაცი
ჯერ ჯერობით არ უმსხვერპლია. სხვათა შორის
მეტა ზარალი სხვებზე მოუვდა ზურაბ ნიკო-
ლოზის ძეს მაისაშვილს. მარტო ამის ზარალი
იქნება 40,000 მან. წესის ფოშტა დაიქა დადეს
9 აპრილს, ვგონებ, ამ ორ დღეში მთლიან

მოისპოს საფოსტო გზა ას ორმოც საყენის
სიგქეზე, და თუ მთელიათ ეს დიდი გორა რი-
ონში ჩაწვა, იმ შემთხვევაში კიდევ უფრო დი-
დი უბედურება დატრიალდება წესში: რიონი
გაბოტება და მთლიან სოფელს წაღვეკავს. ხალ-
ხი დიდ შიშში ამის მიზნით.

ჩვენ ვავიგეთ, რომ წლივანადელი უბედუ-
რებიდან დაზარალებულთ სასარგებლოთ გრო-
ვდება სხვა-და-სხვა ადგილს მეწირულებანი;
ამიტომ, იმედი გვაქვს, რომ აქურთ გაჭირვ-
ებულთაც მოაწვდიან რამეს. აგრეთვე უოვადი
პირი, ვინც არ დაიმურებს ამ უბედურებისათვის
ფულით, თუ სხვა რამეთი შემწეობ-ს და კე-
თილს ინებებს შემწეობის გამოგზავნას, ვთხოვთ
გამოგზავნონ შემდეგი ადრესით: М. Оми, Ивану
Парадановичу Чичинадзе, жит. сел. Цесн.

წერილი რედაქციისადმი.

იერუსალიმიდან.

მამო რედაქტორო!

მრავალნი ახლად განათლებულნი ქართ-
ველნი იძახიან და ცდილობენ საქართველოს
წინ წაწვეს, რათა თავს წრეზე ადვიდეს და
დაესწოროს სხვა განათლებულ ქვეყანებს.
ამის საშეალება მრავალნი არიან, რომელ-
ნიც ჯერეთ საქართველოს არ უნაზრო. თბილის
სახლში უოფინთ და მოსვენებით ესე არ ადეს-
რულება; საქართველოს ესაჭიროება კაცები უც-
ხოეთში, ესაჭიროება ძველი უცხოეთის მათი
მამა ჰაუელი მონასტრების ამოგება, მათი განა-
ახლება და მათში ბერების დაყენება. წმ. იერუ-
სალიმში ერთი არ არის ქართველთა ბერი, რომ
საწყად ქართველ თავყანის-მცემელთ ხელი
მეფეყოს. ეს არის სამწუხარო. ძალიან კარგათ
შეუძლიათ ქართველთა ბერებს აქ დგომა, მაგ-
რამ ხელმომწეობი ვინ არის! იერუსალიმში, ერ-



თი მონასტერი, რომ ქონდეს ქართველებს დი-
და რამ იქნება, ამით ქვეყანას გაცნობს საქართველო-
ს; ესლა გვიან იცის, რა არის საქართველო?
მე სულით და გულით მსურს, რათა ამ აზრს
შეუდგე და დავაგე იერუსალიმში, თუ ვინმე გა-
მიმოიხინდება შეპყვე და ამხანაგი საქართველოს
შვილი ნასწავლი ან უსწავლელი. ჯერ მე არ
სად ვვლავარ. იქით-აქეთ დავაგო რ. თუმ-
ცა ძალიან გავირებუეა ვარ, მაგრამ
ვითმენ. უკანასკნელ ვიხივ მართლ-მადიდებელ
საზოგადოებას, მომცეს შემწეობა. ვისაც სურს
ჩემო შეწყვეტ, შეუძლია გამოგზავნოს ასე: В
Иерусалимъ. Въ Рускомъ Консульствѣ, Ягюнаху
Іоанну Андрееву Чантурая Грузину.

რომელიც შეეხება იმას, თუ რა წესით უნდა
ამა მიმდინარე წელს სასულიერო სემინარიებში იმ
მოსწავლე ვაჟთა და ქალთა გამოცდა, რომელთაც
კმა-საყოფელი სწავლის ნიშნები არა აქვთ. ჭკამ სკს:
უწმიდესმა სინოდმა სხემში მიიღო რა, რომ ამა
წლის მაისის თვეში შაის იმპერატორებთან უდაღებუ-
ლესობათა წმიდა გვირგვინ-კურთხევის გამო მოსა-
ლოდნელ დღესასწაულების მიზეზით სინოდის ამა
წლის 10 - 12 იანვრის დადგენილებით გაუქმებულია
გადასაყვანი ეგზემენები შუთანა და მდბაღლ სასუ-
ლიერო სასწავლებლების იმ მოსწავლე ვაჟთა და
ქალთათვის, რომელთაც წლიური სწავლის ნიშნე-
ბი კმა-საყოფელი აქვთ (3-ზედ არა ნაკლები).—
სამოსწავლო კომიტეტის აზრისამებრ დაადგინა: ნე-
ბა დარტოს სასულიერო სემინარიათა და სასწავ-
ლებელთა მმართველობათ, და სავბარქიო დედათა
სასწავლებლების საბჭოებს ხსენებულ სასწავლებელთა
მოსწავლე ქალ-ვაჟთა, რომელნიც ღირს არ იქნე-
ბიან შემდეგ კლასებში გადაყვანისა, ზაფხულის
შემდეგ ეგზემენი გარდაახდევინონ წლიურ კურსის
ყველა საგნისა-კი არა, არამედ იმ საგნებისა, რომ-
ლის სწავლის წლიური ნიშნებიც კმა-საყოფელი არ
აღმოაჩნდებთ (3-ზედ ნაკლები), თუნდა ეს არა კმა-
საყოფელი ნიშნები, ერთის საგნისა-კი არა, რამდე-
ნისამე საგნის სწავლისათვის ჰქონდეთ; რისთვისაც,
სასულიერო-სამოსწავლო უწყების აღსასრულებლად,
განკარგულება ესე „საეკლესიო უწყებებში“ დი-
ბეტქლას.

უწმიდესის სინოდის განკარგულება

უწმიდესის სინოდის 12-14 მარტის 1896
წლის მე-112 №-რის განკარგულებით, ტფილისის
სასულიერო სემინარიის მასწავლებელი, ღვთის-მეტ-
ყველების კანდიდატი, სტატსკი სოვეტნიკი თეოდორე
ჟორდანიას დინიშნა გურია-სამეგრელოს ეპარქიის
საეკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სასწავლებ-
ლების სავბარქიო მეთვალყურედ, ისე კი რომ სასუ-
ლიერო სემინარიის მასწავლებლის თანამდებობიდან
დათხოვნილ იქნას.

მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა, ტაინი
სოვეტნიკმა ზახარინმა, 6 მარტს, უწმიდესის სინო-
დის ობერ-პროკურორს გაუგზავნა 500,000 მან.
შემდეგის წერილით:

ნ მარტის 1896 წლის მე-719 №-ით, იმ წესის შე-
სახებ, რა წესითაც უნდა იყოს ამა მიმდინარე წელს
სასულიერო სასწავლებლებში წარმართული მოსწავლე
ვაჟთა და ქალთა ერთის კლასისადგან მეორეში გადასე-
პნა ეგზემენები.

„მსურს რა შევწირო საზოგადო გაკვირების
სასარგებლოდ ხუთასი ათასი მანეთი (500,000 მან.)
40% სახელმწიფო რენტისა;

მისის იმპერატორების უდიდებულესობის
ბრძანებისამებრ, უწმიდესმა უმართებელესმა სინოდმა
შოსინინა: ბ-ნ სინოდის ობერ-პროკურორისაგან,
წარსულ თებერვლის 21-სა და 27-ს მე-246 და 272
№№-ით, წინადადებული სამოსწავლო კომიტეტის
ორი ჟურნალი №№ 24 და 84, კომიტეტის დას-
ყენითურთ, სამარას და უფას სასულიერო სემინარი-
ების მმართველობათა მიერ აღძრულ საგნის გამო,

„გონია რა უფრო მეტად მღალადებელი და
უფრო ნაკლებად დახმარებული კერძო ქველმოქმ
მედებით ამ გვარ საჭიროებისა და ნაკლის მხრი-
უბრალე ხალხის ქონებრივი და სულიერი ყოფა-
მდგომარეობა და აგრეთვე სოფლის სამღვდლოების
ქონებრივი ვითარება;

„დარწმუნებული ვარ რა, რომ მარტო ოდენ გარეგანი ღონისძიებანი ვერა განაკარგებენ ერის ქონებრივ მდგომარეობას, თუ მდგომარეობა ესეთივე არ განმტკიცდება შინაგან, სულიერად, თავის სუძღვლებასთან საბრძოლად.“

„ეჭვი არა მაქვს რა, რომ სულიერ საზრდას და სიმტკიცის აღმატება შესაძლებელია მხოლოდ სარწმუნოებრივ საფუძველზედ და, მაშასადამე, ამა საქმისა შუამავალნი ეკლესიის მსახურნი უნდა იყვნენ, ყოველივე ეს იმათ საეკლესიო-მსახურების ღვაწლისა, სამწყსო დარიგებითა და პირველ დაწყების მასწავლებლობით უნდა სწარმოებდეს.“

„ამასთანავე წარმოგიგზავნით ხენებულს თანხას, რათა ამ თანხის სარგებელი შესაწყვარად მიეცეთ უფლარბებს, ჩემთვის განსაკუთრებულ საყვარელ ორის ეპარქიის—ზენზისა და სარატოვის, საეკლესიო-სამრევლო სასწავლებლებს, ანუ ორ სასწავლებლის დაარსებას და აგრეთვე იმ საეკლესიო კრებულს მოხმარდეს, რომელიც გულ-მოდგინედ ასრულებს ზემოხსენებულ მოვალეობას. თვით თანხა სამუდამოდ ხელ-უხლებელი, ამ საგანს განუშორებელი უნდა დარჩეს და სხვას არას მოხმარდეს—რა; მისი სარგებელი-კი ორივე ეპარქიამ თანასწორად გაინაწილოს.“

უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის ამის შესახებს უქვეშევრდომილეს მოხსენებას **სეაშწაფი ამპრატორბს**, 12-სა ამა მარტსა, კეთილ-ინება და საკუთარის ხელით დააწერა: „**იი უსკვის შკწინჟლეპის მპაჟე ტჷშქარატის საამოგუბობა, შკვისინჟა.**“

ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ ნამდვილათ შევიტყვეთ, რომ იმერეთის სამღვდლოების დებუტატების კრება ქ. ქუთაისში დანიშნულია მაისის 28, 29 და 30 რიცხვებში. კრების განსახილველ საგნებად დანიშნულია სანთლის წარმოების საქმე და სუთი ათასი მანეთის გაწერა, რომელი გადასახადიც დაედვა იმერეთის სამ-

ღვდლოებას უწმ. სინოდის უქაზით ქუთ. სასულიერო სემინარიის შესანახავად ამ მიმდინარე წელში.

* *

დაბა ყვირილაში დიდ გაქირებაში იყო ხალხი მდინარე ყვირილაზე ხიდის უმექონებლობის გამო და ძლიერ საძნელოდ მიაჩნდათ ყოველ გასვლაგამოსვლაზე ოთხი კაპიკის გადახდა. ეს ტაქსა ადგილობრივი პოლიციისაგან იყო დადგენილი. ბევრს მოესპო საქმე სასამართლოში ხიდის უმექონებლობისაგან. ბოლოს წყლისაგან წადებული ნახევარი ხიდის გაკეთება თავისი ხარჯით ითავა დეკ. დ. ლამბაშიძემ და კიდევ დაამთავრა ეს საქმე ოკ-და-ექვს ამ თვეს. ხიდის გასაკეთებლად დახარჯული 350 მ. ხანდისხან დღემში „პრომოშე“სამი ათასი კაცი გვიდ გამოვიდოდა, განსაკუთრებით კვირაობით და პარასკეობით. მაშასადამე დღეს ხალხს ამ ახლად გაკეთებული ხიდის წყალობით აღარ ეცლება ჯიბიდან დღეში ექვსი—რვა თუმანი. აქ ერთი რამეა გასაკვირველი: თუ ხალხს ექვსი თვის განმავლობაში აცილდებოდა იმდენი გადასახადი, რაც მან გადაიხდა პაროშე, რატომ აქნობამდისონ არ დახარჯეს ეს ფული და არ დაიციეს გლეხების ინტერესი, მერე ამისთანა უბედური ზამთრის და უფულოების დროს? 1)

* *

მრავალს ეკლესიებში ხმარობენ ისეთ საკმეველს, რომელსაც ნაცვლად კეთილი სუნენლოვანებისა რაღაცა ლაქის მზვავის სუნი უღის. მრავალი მღვდელ-მოსამსახურე პირნი ყურადღებას არ აქცივენ საკმევლის ავ კარგიანობას და თუ იღვთ იშოვეს, მის კეთილ სუნენლოვანებას არ უყურებენ. დღეს ქ. ქუთაისში წმიდა სანთლის საწყობში იმექონება პირველი ხარისხის საკმეველი და მსურველთ შეუძლიათ წმინდა სანთლის ყიდვის დროს საკმეველი აქვე იყიდონ.

აქვე შეუძლიათ მსურველთ მოიპოვონ გუნდრუკი და წმიდა ზეთუნის ზეთიც.

* *

1) ამ შენიშვნას შესახებ ჩვენს აზრს შექმენამოკმში გამოთქვათ. რეაქტორი.



იმერეთის ეპარქიის წმიდა სანთლის ქარხანა საქიროებს წმიდა თაფლის ცვილს. კარგ თაფლის ცვილში ქარხანა იძლევა 24 მანეთამდე ფუთში და ვისაც აქვს თაფლის ცვილი, შეუძლია მიმართოს ამ ქარხანას.

* *

29 აპრილს გელათის მონასტერში კრება ჰქონდათ კამიტეტის წევრთ, რომელნიც დანიშნული არიან წმ. მიფის დავით აღმაშენებლის სამლოცველოს განსახლებლად. დავით აღმაშენებლის საფლავზე დასადები ლოდი უკვე მზადდება კურსევის ჯავარიანი ქვისაგან, ამ ლოდს მექნათი (Шьдесталь) ქვის სამი საფეხურისაგან იქნება გაკეთებული. საფლავის წინ დასვენებული იქნება წმ. დავით აღმაშენებლის ხატი, ბრინჯაოსაგან გაკეთებული.

* *

სასულიერო სასწავლებლების შესანახავ ერთ საიმელო წყაროდ ჩვენ მიგვანჩნია წმიდა სანთლის ქარხანა. ამისათვის იმერეთის ეპარქიის ყველა საბოლოო რიზო ოლქებში წინ დაწინებ უნდა მოხდეს სამღვდლოების კრებები, რომელ კრებებზეცა უნდა მოილაპარაკოს სამღვდლოებამ ყველა იმ კითხვებზე, რომელთა განსახილველად და გადასაწყვეტად იბარებენ 28 მისს დეკრეტებს, რომ ეს დეკრეტები მომზადებულინი გამოცხადდენ კრებაზე.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში და კეთილზნებობაზე.

სიტყვა

კვირიაკეს მენელსაცხეპელთასა.

ხოლო იესო გულის ზმა ჰყო და რქვა მათ: რასა შრომასა შეამთხვეთ დედაკაცს მავას? რამეთუ საქმე კეთილი ჰქნა ჩემდა მომართ... რამეთუ დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე ხორცთა ჩემთა და დასაფლველად ჩემდა ჰყო. ამინ გეტყვი თქვენ, სადაცა იქადაგოს სახარება ესე, ყოველსა სოფელსა თქმოდეს, რომელიცა ესე ჰყო მაგან სასხენებლად მგისსა (მათ. 26—10, 12 და 13).

დღეს, ძმანო ქრისტიანო, წმიდა ეკლესია დღესასწაულობს ხსენებას მენელსაცხებელთა დე-

დათასა, დღეს სრულდება ეს ბრძანება, ეს ნება მაცხოვრისა, რომელიც მან წარმოსთქვა თავის ენების წინად სვიმონ კეთროვნის სახლში სადიდებლად სარწმუნოებრივის გულს-მოდგინებისა და ერთგულებისა, როდესაც ვაჭრობის თვლით შეხედეს ნელსაცხებელის დასხმას მარიაშისაგან ფერხთა იესოსთა და უმტყუნებდნენ, რად დაქცია ამოდენი ძვირფასი ნელსაცხებელიო, ის არა სჯობდა, გაეციდა და გლახაკებისათვის მისი ფასი დავრიგებინაო? არაო, მიუგო მაცხოვარმა, იმან „საქმე კეთილი ჰქნა ჩემდა მომართ... რამეთუ დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე ხორცთა ჩემთა და დასაფლველად ჩემდა ჰყო“ და აუ იყოს ეგე „სახსენებლად მაგისა ყოველსა სოფელსა“, ესე იგი, ეს მაგალითი მაგის სარწმუნოების გულს მოდგინებისა იქადაგებოდეს ერთად სახარებასთან ჩემის მოვლანებისაო, რომ ყოველმა ქვეყანამ დაინახოს და ისწავლოს მისგან „საქმე კეთილი გულის-წმინდით და თავდადებით შეწირული მსხვერპლისა, სარწმუნოებისა და სიყვარულისათვის.

წმიდათა მოციქულთა და მსოფლიო ეკლესიის მამათა დიდის სიბრძნით გარიგეს წმინდა აღდგომის შემდეგს კვირებზე დღესასწაულობა „გამარჯებულის სარწმუნოებისა“, რომლის ძლევა-შემოსილების „ნიში და სასწაული“ თვითონ განკატებული ღვთის მკვდრეთით აღდგომა იყო; თომას კვირაეც, მენელსაცხებელთა, განრღვეულისა, სამარტელისა და ბრძისა - გამწყობრებული დღესასწაულია ცხოველის სარწმუნოებისა სასიხარულოდ მორწმუნეთა, ამიტომ რომ „ცხოველმა სარწმუნოებამ“ არა თუ მარტო ნელსაცხებელის ფასი გარდაიხსადა უკვდავის მადლობით, სამარტელის წყლულებანი განკურნა, განრღვეული მოაჩინა, ბრძის თვალი აუხილა, არამედ თვით თომას მიძიმე ექვიც განაქარა „სიკვდილისა სიკვდილითა“ და „საფლავების შინათა ცხოვრების მინიჭებითა“. ეს „გამარჯება“ სარწმუნოების სიკოცხლისა ურწმუნოების

სიკვდილზე და ექვის მოშლილობაზე, ეს გამთელე-
ბა წუთის სოფლის ამოგების ნაგვემთა და ქრილო-
ბათა შებრალებითა და მოწყობებითა, ეს თვლის
ახელა სიბრძისაგან უმეცრებისა მადლითა სარწმუნო-
ნობებისა და სიყვარულისათა არის ის დიდება, ის
დღესასწაული სარწმუნოების საქმისა, რომელზედაც
მაცხოვარი ამბობს „საქმე კეთილი ჰქმნა ჩემდა მო-
მართო.“

ქემარტად, ძმანო, დიდა დღესასწაული სარ-
წმუნოებისა, დიდა გამარჯვება სიმართლისა, რო-
მელმაც თავის გამეტებადმდე გამაზნევა სუსტნი დე-
დანი, გააბედინა ჯერ გოლოგოთას გაყოლა; მაც-
ხოვრის ჯვარცმის მოწმად დასწრება, მის გარდა-
მობხნაში სამსახური და მერე ღამით საფლაოზე წა-
სვლა ნელსაცხებელის დასახმელოდ მიუხედავად
მცველთა და სხვათა ურიათა შიშისა. მაგრამ თვით
ეს მაგალითიც ამტკიცებს,—სხვა თუნდ არ იყოს
რა მიზნაც,—რომ ცხოველ სარწმუნოებას და სი-
ყვარულს არაფრის ეშინათ, რადგანაც არაერთი
კაცობრივი იარაღი მათ არ მოეკიდება; პირ იქით
დევნა ამთ განაძლიერებს, ქირი განამტკიცებს და
თვით სიკვდილიც გააცოცხლებს. სარწმუნოება ცხო-
ველი, „კეთილთა საქმეთა“ საუნჯეა, სიყვარულის
წყაროა, სასოების საძირკველია და „საქმე ბორო-
ტი“ მას ვერ მოერევა, სიძულილი ვერ დასცემს
უსახობა ვერ ჩანთქავს. აი ამიტომ არიან მორწმუ-
ნენი მხენი, მამაქნი, გმირნი და ბოლოს ყოველ-
თვის გამარჯვებულნი დღესასწაულობენ „ძღვევისა
გალობითა“ დიდებასა სარწმუნოებისას! სარწმუნო-
ება იქმს „საქმეთა კეთილთა ღვთისა მიმართ“ და
წინაშე კათა.

ვინ არ იცის, ძმანო ქრისტიანენო, რომ ეკ-
ვი უნდა, ფრთხალია, გაუტანელია; ის ვერაფერზე
ფეხს ვერ მოიდგამს, სულ ყოყმანსა და რყევასია,
სულ გაურკვეველია. იქნეულ კაცს ეშინია იქ სა-
დაც საშიშარი არა არის რა, რცხენია იქ, სადაც
სასირცხო არაფერია და ის თამამი და ურც-

ხვია იქ, სადაც მართლა საშიშია და სამარცხინო.
ეს უკუღმართობა არის ნაყოფი და ნიშანი იქნე-
ულების; ეს შლის, სხლეტს კაცის ღონეს და მისს
შრომსაც, მადლსა და ნაყოფს უკარგავს. ეს საცო-
დავი კაცი ისე საშიშარს მდგომარობაშია, როგორც
საქე-მოცილებული ნაფი აღლეგებულს ზღვაზე, რო-
მელიც „მიმოიტაცებს“ ღლევისაგან და ხან გაქნე-
ბული შევსკდება კლდესა და ხან დასანთქმელოდ
„ბრუალობს ცხოვრების მორევეში, მიტომ რომ იმს
არ უძღვის ვარსკვლავი სარწმუნოებისა, მას დაუ-
კარგავს საქე სასოებისა და მადლი სიყვარულისა.
ეს კაცი ვერ იზამს „კეთილთა საქმეთა“ ღვთისა
მიმართ და წინაშე კათა, როგორც მენელსაცხე-
ბელ დედა კათა ჰქმნეს: იმათ არ შეიშინეს გან-
ციტების, შეურაცხების, თვით სიკვდილისაც და
ზოგმა მათგანმა სიკვდილის წინ სცხო მენელსაცხე-
ბელი ძესა ღვთისასა და ზოგთა შემდგომ სიკვდი-
ლისა წაუღეს საფლაოზე „სუნელიოვანი“ მსხვერპ-
ლი სარწმუნოებისა და სიყვარულისა, და, ამ გვარი
კაცი ხომ შიშობს და ირცხვის ეკლესიაში შესე-
ლასაც „ამხანაგები გამციტებენო“, „ესრედ წოდებუ-
ლნი „ნასწავლნი“ „სასაცილოდ ამიგდებენო“ და
თუ ოდესმე გვიან შამოვიდა ტაძარში, არა იმისთ-
ვის, რომ შესწიროს „ნელსაცხებელი“, შეზავებული
სუნენელებისაგან სარწმუნოებისა, სასოებისა და სი-
ყვარულისა, რომელიც მას არ მოუბოგებია, არ მო-
უშხადებია, არ უძებნია,—არამედ მისთვის, რომ
გახიდ-გამოიხედოს, ნაცნობები ნახოს, იბასოს
იმისთანა საგნებზე, რომელზედაც სვიმონ კეთორო-
ნის სახლში ბასობდენ ნელსაცხებელის დასხმის
ღროს და ყვედრიდენ და კიცხადენ მარიამს, რა-
სათვის იყო წარწყმედა ნელსაცხებელისა ამისო.“

ეს უბედურება ძმანო, ქრისტიანენო, ამ ღროს ერ-
თობ ნეულეზად მოედვა, ერთობ ბევრი შეიპყრო
ამ განუკითხველმა სენმა გულის მოკულებიდან და
„უღლებილსამ.“—ეს სიმახინჯე კაცის სულიერის ბუ-
ნებისა თითქო „მოდა შეიქმნა მათში, ვინც გონე-
ბისა და გრძობის ვარჯიშით, განათლებით, ცოდ-
ნით უნდა ყოფილიყვენ „ლომპარნი“, გზის მაჩვენე-



ბელი მოყვასთა სიმრავლისა, „მარიონი“ ჭეცენისა და ამით „გაემარგლათ“ უმეცრების ეკალითაგან შეხუთული „თესლი სარწმუნოებისა და დაესხათ სამარტეტლივით „ზეთი და ღვინო“ უეციობისა და უკულმართობისაგან ვალახულის, დაწყულულებულის და „მწყდარის“ მოძმისათვის...

ცხოველს მყოფელი ძალი სარწმუნოებისა, რომელსაც დღეს ადიდებს წმიდა ეკლესია მენელსაცხებელთა დედათა ხსენებითა, სრულ საყოფელად ქრისტეს მაცხოვრის სიტყვისა, სამოდღერბლად და სასიხარულოდ ქრისტიანეთა, იმითა დიდი, რომ იგი შეადგენს ღონეს ჭეცენის წარმატებისას, მშობისა და სიყვარულის გზაზე, სწვდება ყველა საუკუნოებს და მთელს მსოფლიოს, გახდის ბარბაროსებს და წარმართებს „კეთილთა საქმეთა“ სიტყბოებით მოქმედად, დაგრდამიოს აღადგენს გმირად და მამაკომლავზე, ძლიერს უმორჩილებს ჯვარსა, — ტკბილსა უდელსა ქრისტესსა, „უმეცრების ღამეს სცვლის მეცნიერების დღედ, ასწორებს „უფალსა და მონასა“, ქალსა და კაცსა, რომლის სიმართლედ დღენდელი დღესასწაულია; — ერთის სიტყვით ამყარებს ჭეცენაზე „სასუფეველს“ სიყვარულისა, სიბრალულისა, შეწვევისა, ძმობისა, ერთობისა, აღშენებისა და სიხარულისას. ამიტომაც განკაცებული ღმერთი უწოდებს სარწმუნოებას მენელსაცხებელისას „კეთილ საქმედ მისა მიმართ“, ესე იგი, „ღვთის მადლის საქმედ“ და ამცნებს ერთად სახარების ქადაგებასთან „ყოველსა სოფელსა ითქმოდეს, რომელიცა ესე ჰყო მიგან სახსენებლად მაგისაო“. ესე იგი ეხაროს ყოველსა სოფელსა „კეთილი საქმე“ სარწმუნოებისა, რომ „კეთილსა უყოფდეს“ ყველა ერთმანეთსა, რათა ყოველნი იყვნენ კეთილსა შინა და ყოველთა უხაროდესთა. ყოველი ნამდვილი მეცნიერება ჭეცენარტებისადმი მისწრაფება არის; ყოველი ცნობა ჭეცენარტებისა გამარჯვება არის კაცის გონებისა; ყოველი გამარჯვება სიხარულია და დღესასწაული. თვით მაცხოვარი ჩენი გვასწავლის

„ირეკით და განგელოსთ თქვენ“, „ეციებდით და ვოვეთ“ ჰპოვითო. აჰა, ძმანო, „ეციებდით და ვოვეთ“ მეკდრებით აღდგომა ქრისტესი, განახლება კაცთა ნათესავისა; „ეციებდით და ვოვეთ“ ექვის განქარება თომასი, მისი ცხოველი სარწმუნოება და სიხარულით აღსარება ამ სარწმუნოებისა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემიო; „ეციებდით და ვოვეთ“ მენელსაცხებელთაგან „სუნად სუნენლად შეწირული“ მადლი ცხოველს მყოფელის სარწმუნოებისა, რომლის „სახსენებლად“ სიტყვისაებრ ღვთისა აწსახარება ამას ქადაგებს ყოველსა სოფელსა და დღეს აქ შევკრებილვართ დიდებისათვის დედათა ამთერთაგულებისა და გულს მოდგინებისა, რომ ვიდღესასწაულოთ „ძღვევა სარწმუნოებისა“, — პოვნა ჭეცენარტებისა. აი, ძმანო ქრისტიანენო, ხედავთ, რომ სარწმუნოება და მეცნიერება ერთმანეთს არ ეცილებიან, ერთმანერთის უარის მყოფელნი არ არიან, ორისავე საგანი ერთი და იგივეა: — სარწმუნოებისა რწმენა ჭეცენარტებისა, მეცნიერებისა — ცნობა ჭეცენარტებისა. სარწმუნოება წინაუღღვის მეცნიერებას, მიტომ რომ გრძნობს სულით არსებას სიმართლისას და რწმენს იგი, უყვარს და ესაგებს მას; მეცნიერება მისდევს „ეციებს და პოვებს“ სიმართლესა და იცნობს გონებითა. ორივე ერთსა და მასვე სინათლეს მისჩერებიან სხვა და სხვა გზით; ორსავეს ერთმანერად ანათებს და აბრწყინებს საუკუნო სინათლე სჯულისა, სარწმუნოებისა და მეცნიერებისა...

ამო რ არის მიზეზი ზემო თქმულის გულმომოცულებებისა და გარეწობისა? ნამდვილი სწავლა და ცოდნა კი არა, — კულად შეგნებული მეცნიერება, უთაგბოლო ჩვეულება წამხედურობისა, გულ დაუდებლობა და დაუკვირებლობა სამეცნიერო შრომისა და საგნისა. — ერთი სიტყვით დაუმთავრებელი ცნობა, ვერძიწვდომელი ცოდნა არსებისა, გრძნობის დამცალიერებელი და გონების დამქნაბელი. ეს არის მიზეზი, სხვათა შორის, იმ სამწუხარო სანახაობის, რომელიც სუნად მოდებია ბევრს სამწყსოთაგანს, ნახსარს თვით ქრისტეს სისხლით და წამებით, მოციქულთა და მამათა ღვაწლით, მენელსაც-

ეგზელთა მსხვერპლით. ეს გარეწობა უმაღლრობაკ არის და დაუწავლელობაკ კეთილ ნაქმნარისა და არ შეეფერება არც გონებას, არც გრძობას კაცურის კაცისას და ნამეტურ ქრისტიანად სახელდებულისას. სწავლის ნიშანი უკოდინარობა და უმაღლრობა კი არ იქმნება. „ხე ნაყოფთაგან საცნაურ არსო“, ამბობს სამართო წერილი. ცოდნა საქციელით და მოქმედებით იცნობება, როგორც სარწმუნოება საქმით არის ცოცხალი. ერთი საქმე აქვს სარწმუნოებასაც და მეცნიერებასაც; —სამსახური ქეშმარიტებისა; დაზარება ამ სამსახურისა, დაუღვერობა, ორგულობა ამხილებს ურწმუნოებასაც და უმეცრებასაც. ნამდვილ მეცნიერმა იცის, რა არის მადლი სარწმუნოებისა; ნამდვილ მორწმუნემ იცის, თუ რა არის ძალი მეცნიერებისა და ორნივე ძმურად მსახურებენ საუკუნოსა სიმართლესა და მისს უკვდავსა სჯულსა. ვერც ერთი ვერ უღალატებს, ვერ უარ-ჰყოფს ერთმანერთსა, როგორც ვერ უარ-ჰყოფს თავისს თავსა, ვერ უარყოფს რწმენის და ცნობის ქეშმარიტებას, მიტომ რომ ეს იქმნება უცნობობა და უგუნურება, და, —სამდვიო სიტყვა გვაფრთხილებს, რომ «უგუნური და უცნობო ერთბაშად წარწყმდენო», ესე იგი რეგვენი და უმეცარი ერთად დაიღუპებაო. ეს ყველასთვის ცხადია, ამის ცილობა არ შეიძლება. მაშასადამე მეცნიერება კი არ ეცილება, ესმარება სარწმუნოების ღვაწლსა და სარწმუნოება კი არ უშლის, —შველის და გზას უნათებს მეცნიერების ძიებასა, როგორც აღმოსავლეთის მოგვეების სიბრძნეს წამოუძღვა ვარსკვლავი ქეშმარიტებისა და მიიყვანა ქეშმარიტებადმდე განკაცებულის ღვთის შობისა. ბეთლემს. სიბრძნე მეცნიერთა გაჰყვა ქეშმარიტების ვარსკვლავს, იზოგა ღმერთი დაბადებული, ყრმად დაბადებული, თაყვანი სცა საუკუნეთა მეთუფესა და შესწირა ოქრო, გუნდრუკი და მური. სარწმუნოება მადგალიწელასი გაჰყვა ბუნებითს სჯულს წმიდა გრძობისას და იზოგა ძე კაცისა, აღდგომილი მკვდრებით,

თაყვანი-სცა და შესწირა „წელსაცხებელი“ ნოებისა, სასოებისა და სიყვარულისა. მეცნიერება მოგვეებისა შორიდან, აღმოსავლეთიდან წამოვიდა, დიდი ხანი იარა და ბოლოს ნახა ქეშმარიტება განხორციელებულის ღვთის შობისა; სარწმუნოება მაგდალიწელისა იქვე ახლოდან წამოვიდა ღამეში „სუნწელებითურთ“ მსახურებად სიმართლისა და ნახა ქეშმარიტება განკაცებულის ღვთის მკვდრეთით აღდგომისა. მან მიიღო უზესთაესი ჯილღო ზეცისა: —ყველას უწინ ნახა მკვდრეთით აღდგომილი უფალი —საგანი, გამარჯვება და დიდება მისის სარწმუნოებისა და ახარა ეს გამარჯვება თვით მოციქულებსაც. გული გრძობს, გონება სცნობს; სარწმუნოება იტყობს, მეცნიერება იხილავს. ორივე ამ გზით „პოვებს სიმართლეს“!...

ახლაც, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, ჩვენცა ვილოკოთ წინაშე საუკუნეთა მეთუფისა, რათა აწინდელთა ბრძენთა და მეცნიერთაც სარწმუნოების ნათლის წარძღვანებითა შესწირონ ჰსჯულსა ქეშმარიტებისასა გული, გონება და ძალი და ერთად მორწმუნეებთან ძმურად მსახურებდენ „სამქმსა კეთილსა“ ქეშმარიტებისა და სიყვარულისასა, რომ ჩვენ ერთად მენწელსაცხებელთა თანა ვლდესასწაულობდეთ გამარჯვებას ჩვენის საკუთარის სარწმუნოებისას და ერთად მორწმუნენი და მეცნიერნი, ნასწავლნი და უმეცარნი, მღვდელნი და ერნი, ქალნი და კაცნი, ყრმანი და ბერნი მხარ და მხარ ვილოდეთ და უტყუელისა აღთქმისაგებ „ვეციებდეთ პირველად სასუფეველსა ღვთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგვეძინოს ჩვენ“ ამინ..

ქეგელი ი. შავლაძე.

შეწირულენი,

და ორმოც-და-ოთხი კაბ. (27 მ. 44 კ.). გთხოვთ შემწირველთა სიაც დაგვიბეჭდოთ.

სია შემომწირველთა: (თათო მანეთა 1 მ):

მღვდლის სამსონ ნიჟარაძისაგან:

„მ. რ. უმოჩინოსად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით გულთადი მადლობა შეგწიროთ როგორც მე ისე ჩემმა პრევილა ქუთაისის მაზრის თავად-ახნაურთა წინამძღოლს ბ. დავით ოტის ძეს ნიჟარაძეს, რომელმაც დიდი შემწეობა და დახმარება აღმოგვიჩინა ოფიშკეთის წმ. გიორგის ეკლესიისათვის გალავანის გაკეთების საქმეში.“

ლაკორის სამრევლოს მღვდლის პორფირე გელოვანისაგან:

„მ. რ. უმოჩინოსად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გულთადი მადლობა გამოუცხადოთ ქვემო აღნიშნულთ პირთ, რომელთაც ჩემი თხოვნა აღასრულეს და შემდეგი საქირო ნივთები შემოსწირეს ჩემდამო რწმუნებულს ზედ მიწერილს სპათა გორის წმიდის გიორგის ეკლესიას.“

აი ამ პირთა სია:

1) კნენა ეკატერინე ყიფიანის ასულმა შემოსწირა ტრაპეზზე დასაფენი ფარჩა, ღირებული თორმეტ მანეთად.

2) გლენმა თედორე მახარობლიძემ—ერთი დიდი შანდალი და ერთი საცეცხლური, ღირებულნი თერთმეტ მანეთად.

3) გლენმა უფლისა ლეშაშელმა—ერთი კანდელი, ღირებული ოთხ მანეთად.

მღვდლის სოლომონ ანდელუაძისაგან:

„მ. რ. უმოჩინოსად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენის პატივცემული ჟურნალის „მწყემსის“ საშუალებით უგულთადესი მადლობა გამოუცხადო სპსა და რწმუნებულს ჩემდა სამრევლოს მაგიერ ქს. ნადეჟდა ბესარიონის ასულს იესოლიანს, რომელმაც მიღო შრომა და შეჰკრიბა რწმუნებულის ჩემდამო ეკლესიისათვის ზარის სასყიდლად ოც-და-შვიდი მან.“

1. ივლიტე იოსელიანისამ, 2. ალექსანდრე ბე-ბურიშვილმა, 3. ბ. კალანდაძემ, 4. ე. ჩიეშვილმა, 5. ი. აბაშიძემ, 6. № №, 7. ი. ა. დუმბაძემ, 8. № №, 9. სოფია ქარცივაძემ, 10. ი. ნ. ქარცივაძემ, 11 ქ-ნ მართა ალშობიასამ, 12. გ-ნ ქლენტმა, 13. № №, 14. ა. გამარეკელმა, 15. ნინა ბერნეიანისამ, 16 ს. ჟორდანასამ, 17. № №, 18. გერმანე გოგიტიძემ **საპი აპაზი (60 კ.)**, ზოთაო შაჟრაი (50 კ.) 19. ბა-ბილინე თენიეშვილისამ, 20. ნინა ჯინქარაძისამ, 21. ი. მენაბდემ, 22. ვერა გრეკოვისამ, 23. ვარდი-კო გეგენავამ, 24. ფატი ღლონტმა. **არ-არა აპაზი (40 კ.)** 25. ნატალია ჯაყელისამ და 26. ვასილ დუმ-ბაძემ. **თათო აპაზი. (20 კ.)** 27. № ნაკიძემ, 28. პირმენისი ტულუშისამ, 29. № №, 30 დ. დოლიძემ, 31. დ. სალუქვაძემ, 32. გრ. თეთიეშვილმა, 33. დო-მენტრე შ-ძემ, 34. ს. არაყვამ, 35. ი. ლომჯარიამ, 36. ი. ცეცხლაძემ, 37. ა. კვაჭაძემ, 38. ს. ღლონტმა, 39. ა. ოთხმეზურმა, 40. ვ. მგელაძემ, 41. ს. გ. ღლონტმა, 42. გ. ჯაყელმა, 43. თ. დ. გუგუნავამ, 44 ჰ. მუსნიკიმ. **სამ სპიო შაჟრაი (15) 45 ს. კრა-გველიძემ, 46 გ. ს—ძემ, 47 №№, 48 ი. იფხაზავამ, 49 კონსტანტინე №, 50 ე. დოლიძემ.—არ-არა შაჟრაი (10).** 51 გ. ვაშლომიძემ, 52 დ. დოლიძემ, 53, №№, 54 ლ. ფირცხალაიშვილმა, 55, ი. მელი-ვამ, 56 ვ. გეგიაძემ, 57 ლ. დოლიძემ, 58 ი. სუ-ლხნიამ, 59 ლ. გორდელაძემ, 60 ე. გოგავამ თი-თო შაური (5კ.) 61 ი. ლომთათიძემ, 62 მ. რუ-სიაშვილმა, 63 ი. ლომთათიძემ, 64 თ. სიაშიაშვილ-მა, 65 პ. ღლონტმა, 66 ე. არაშვიდემ.

მღვდლის გიორგი ღლონტისაგან:

„მ. რ. უმოჩინოსად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი გაზეთის „მწყემსი“-ს საშუალებით გუ-ლითადი მადლობა შეგწიროთ ჩემს სამწყსოში მცხოვრებს ახ. პოდპოლკოვნიკს იოსებ ბეჟანის ძეს ბერიძეს, რომელმაც შემოსწირა, ხსენებულს ეკლეს-სიას ერთი ბარძიმი და ფეშხუმი თავის მოწყობი-

ლობით ვეცხლისა ოქროთი დაფერილი, ღირებული 150 მან.“

ქალაქ ბათუმში მოვაქრის ყარამან ბერძენიშვილის მეუღლას ეკატერინა ოთხმეზურის ასულის, რომელმაც შემოსწირა ამ ღირებულების ეკვლისას ერთი ჯვარი ტრაპეზზე დასასვენებელი, ღირებული 6 მ და სასანთლე ორ სანთლიანი, ღირებული 7 მან.

მღვდლის ევგენი გაწერელისაგან:

„მ რ. უმოჩილესათ ვთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის „მწყემსი“-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე ისე ჩემმა მრევლმა ქვემო აღნიშნულ ბირთ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულს ქვათის ჯვარცმის ეკვლისას შემოსწირეს სხვა და სხვა ნივთები. აი შემომწირველთა სია: ქ. ქუთაისის მეორე გილდის ვაჟარმა ივანე გრიგორისძე ცხაკაიამ შემოსწირა ერთი ჯვარი და ერთი საცეცხლური, ღირებული 10 მ.; ქ. ქუთაისის ვაჟარმა მაქსიმე ზაქარიას ძე ხენგიამ ერთი საიახმე, ერთი უსუბი, ერთი განსაზავებელი და ერთი ლახვარი, ღირებულნი 9 მან. და 50 კ.; ხორგის ორ-კლასიანი სასწავლებლის ზედამხედველმა ივანე შიოსძე კახავიასამ ტრაპეზზე გარდასაფარებელი შეკერილი რიგისამებრ ჩითისა, ღირებული 3 მ.; აზნაურმა ერმილე კიკაბაძემ განსაზავებლად ძველი სამოკიქულოისა—2 მან. ფული, გლენმა კოსტა კახავიამ ანალოლია, ღირებული 2 მან.; გლენმა იორდანე თვალაძემ ხატი, ღირებული—2 მან. აზნაურა ნატალია კიკაბაძისამ კრეტსამებელი ღირებული 1 მან. და 50 კ.; მედავითნემ დავით, ლაზარესძე კახაიამ საიყსედ ლოკენისა 1 მ. და 20 კ. სამღვდლო დიკონმა მიხაილ ცხაკაიამ ერთი დავითნი, ღირებული ერთ მანეთად, მღვდლისშვილის შვილმა ანტონ კახავიამ და გლენმა ფილიპე ხენგიამ განსაზავებლად ძველი კონდაქისა და ჟანისა 1 მან. და 50 კ. ფული, გლენმა სამსონ ცხაკაიამ ერთი პატარა სტოლი თავის უჯრითა საცავად სამთლისა, ღირებული 1 მან. და 60 კ. ტასია ცხაკაიისამ ანალოლიაზე გარდასაფარებელი ფარჩა ღირებული 1 მ. და 40 კ. და მისთან კიფის სასული-

ერო სობოროის ლავრიდგან იქმნა შემოსწირული სხვა და სხვა საეკლესიო ნივთეულობა, ღირებული 35 მან.

საეჭვო კითხვების განმარტება.

მ. რედაქტორო!

უმოჩილესად ვთხოვთ, რომ თქვენი პატივცემული გაზეთის „მწყემსის“ საშუალებით განგვიმარტოთ შემდეგი სიტყვა-კითხვები და მით გამოგვიყვანოთ იქვეულობისაგან.

1. თომას კვირიაკის ოთხშაბათიდან ვიდრე ამაღლების დღესასწაულამდის დიეტოცემა თუ არა მე-19 და 20 ფსალმუნები? (შეისმინე).

2. მწუხრის ლოცვა მღვდელმა უნდა განუტყვევოს ყოველთვის მომავალი დღის რიგის ჩამოლოცვისამებრ და წმიდის მოხსენებით; სიწმინდის განახლების წირვაში, რომელ დღესაც წირვა სრულდება, იმ დღის რიგისამებრ და წმინდანის მოხსენებით უნდა ჩამოლოცოს მღვდელმა, თუ მომავალი დღის რიგის ჩამოლოცვით და წმინდანის ხსენებით?

3. პირველ შეწირულის ლიტურგიაში ტარიგი შემზადდება და ვარსკვლავი დაედგმის ფეშხუშზე მეთვრამეტე კანონის ფსალმუნების კითხვაში, გარნა რა დროს აიღება ვარსკვლავი ფეშხუშიდან, კონდაქში არ არის ნაჩვენები.

4. საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის უქაზით ყველა ახლად შობილი ბავშვი უნდა ჩასწეროს მღვდელმა მეტრიკის წიგნში, დაბადების რიცხვის ჩვენებით. ნამდვილი მეტრიკის წიგნები ყოველ



წლის ბოლოს იგზავნებიან კანტორაში, და თუ მეტრიკაში ვინც ცოცხალია ჩაწერილი ბავშვი მოუწაულები და რა, იმავე კანტორის უქაზის ძალით მღვდლები ვალდებული არიან შემდეგ საიდუმლოს შესრულებისას ჩასწერონ შვი მეტრიკაში და შემდეგ რაპორტით უნდა აცნობონ კანტორას რიკხვი მონათვლისა, ვინ იყო მიმრჩეველი და ვინ აღასრულა საიდუმლო ნათლის ღებისა. ამ გვარ შემთხვევაში მღვდელს აქვს უფლება ფოსტით გაგზავნოს რაპორტი მეტრიკის აღმოწერილობით კანტორაში გასაგზავნი ფულების გაღებულად თუ არა?

გამართება.

1. თომას კვირიაკის ორშაბათიდან ამაღლების დღესასწაულამდე მე-19 და 20 ფსალმუნების (შენისინეს) დატევენას არავითარმე საფუძველი არა აქვს. ტიბიკონი ამბობს იმ ცისკრის ნაწილზე, რომელიც დაიწყება ასამაღლებელით „დიდება წმიდისა და თანა არსა“, ხოლო პირველი ცისკრის ნაწილზე, რომელიც დაიწყება ასამაღლებელით „კურთხეულ არს ღმერთი ჩვენა“, ტიბიკონი არას იხსენიებს; მაშასადამე იგი ამ დღეებშიაც აღსრულება ჩვეულებითსამებრ.

2. პირველ შეწირულზე ჩამოლოცვის დროს ღღის წმიდანი მოიხსენება.

3. ვარსკვლავი ფეშხუმიდან აიღება იმის შემდეგ, როცა წარმოითქმის სიტყვები: „პირველ შეწირული წმიდაა წმიდათა“ (იხილე კონდაკის ტიბიკონი.)

4. უფასოთ შეუძლიათ სამღვდლო მოსამსახურეთა ქალაქების გაგზავნა ფოსტით კონსისტორიებში, სინოდის კანტორებში, სამართველოებში და ბლაღოჩინების სახელზე მათი მოვალეობის აღსრულებისაგამო. (კრებ. დაღვ. და განკარ. ფოსტა-ტელეგრ. უწყებისამებრ 1885 წელსა სტ. 30) გერბის გადასახადისაგან თავისუფალია მეტრიჩესკის გამოწერილობანი, რომელნიც მოითხოვებიან, მართებლობის, ქალაქების, ეროვნების დაწესებულე-ბათაგან და მოსამსახურე პირთაგან მათი საკუთარი საჭიროებისათვის და არა გარდასაცემელად კერძო პირთადმი.

რედაქციისაგან.

ზოგიერთები კახეთზე ხელმოსაწერ ფულის იგზავნიან. მაგრამ იმას კი არ კვატკობნიებენ, კახეთს ახლად იბარებენ, თუ უბე იღებდენ. ამიტომ უმორჩილესად ვითხოვთ ამისთანაშირებს, რომ კახეთზე ხელმოსაწერი ფულის გამოგზავნის დროს გვაცნობონ: ისინი ახლად იბარებენ კახეთს, თუ უკვე მიდის მათ კახეთი.

გარდა ამისა ზოგიერთები რედაქციაში გამოსაცხვენ წერილებს ნახმარ მარებს აგურენ და ზოგჯერ უმარგოთაც იგზავნიან, ამისთანა წერილების მიღების დროს ფოსტის გამგეობა ერთი-ორ ფასს ითხოვს. ამიტომ ვაძნობებთ მსგავსი წერილების ავტორებს, რომ ასეთი წერილები ჩვენგან არ იქნებიან მიღებულნი.

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა მართულს

„მწეპმს“-ზე

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ფასი ქურნალისა:

12 თვით «მწეპმსი» 3 მ. | 6 თვით «მწეპმსი» 2 მ.
 — ,, ორივე გამოცემა 5 ,, | — ,, ორივე გამოცემა 3 ,,
 — ,, რუსული ,, 3 მ. | — ,, რუსული ,, 2 ,,

სახელმძღვანელონი და სხვა საკითხავი წიგნები, დაწერილნი აკაკო გოგებაშვილის მიერ.

დედაქმნა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საიოა და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მე-11-ტე შედგენილი გამოცემა, დაბეჭდილი წერეთლის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ყარათულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერა დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მმართველთ აღარ მოუხდებოთ სყიდვა არც სახატავებისა და არც დედანისა. შასი ისევ ექვსი შურია, ყლით ორი აბაზი, ეს წიგნი მოწონებულია და მართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწყობდეს სინოღისაგან... მინც ერთად იყიდის ოც და ათს აბეტს ცალსა, წიგნი დაეთობა ხუთ შურიათ, ყლით 33 კაპ.

გუნების პატირი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მერვე გამოცემა შემკული სურათებით და საქართველოს ქარტია, დაბეჭდილია წერეთლის საზოგადოების მიერ. შასი ყლით ოთხსაბა უხალთუნი (90 კაპ.). უყლოთ ეს გამოცემა არ ისყიდეს. მინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთობა ოთხ აბაზს, ვინც ოცსა—თუთხმეტ შურად და ვინც ოცსა—თითხმეტ შურად. ეს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «მშენიერი სახელმძღვანელო მართულის ენისა» და ავრთვე უწყობდეს სინოღისაგან.

მომკმრი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სასლობაში სახმარებელი, გამოცემა შერევი, ფასი ორი შურია ნარდათ 8 კაპეიკი.

მუნა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებებიდან, მეოთხე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შურია. ვინც ნაღს ფულზედ იყიდს ათს ცალსა, ცხრა შურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა—ორ აბაზათ: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოღისაგან.

სომელი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მაზრული ურბათების, მერვე გამოცემა, ფასი ექვსი შურია, მოწონებულია სამინისტროსა და სინოღისაგან.

მუნწული, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოღისაგან.

იანანამ რაჰმანი? მოთხრობა მოზრდილი ყველებიათის, მეოთხე სურათებიანი გამოცემა ფ. 10 კ.

საბისი მიგმევი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შურია. **სამინის მუნი** საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით და ქარტით. მერვე გამოც. ფი 10 კ. **მირიმილი უმამირამა**, პუბლიცისტურ წერალო დედანია მნიშველობის შეახებ ყრბობაღამიანის და ძიეულის ერის ცხოვრებასა და წარბატებაში, ფასი ერთ აბაზი...

თავდადებულნი მართველნი, ისტორიულნი მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შურია.

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, издание четвертое, цена тридцать копеек, въ переплетѣ 40 копеек.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, издание третье, цена 40 копеек, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихся въ преподаваніи русскаго языка по «Русскому Слову», цена 50 коп.

Обѣ части «Русскаго Слова» одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школѣ, а «Руководство для учащихся» одобрено для библиотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главнаго начальствуюаго (см. три «Сборникъ» распоряженій по управленію Кавказскихъ Учебныхъ округовъ стр. 1965 и 1967

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано. «Русское Слово» духовнымъ учебнымъ Начальствомъ. ეველა ეს წიგნები უმათერესად იყიდება: თბილისში წერეთლის საზოგადოების მალახაში ქუთაისში: ბეჭეწეწილთან, ჭილაძესთან და ხეთერედთან, ბათუმში თავართქილაძესთან და კალანაძესთან, ვითრე—ტულუშთან, ოზურგეთში და სენაკში თავართქილაძესთან, ლანჩხუთში ცინცაძესთან, სტეფანში ჭავჭავაძესთან, ყვრილას—არაბიძესთან, საჩხერეში ყარაპან ჩევეძესთან, სურამში და ხაშურში შურალიასთან, გორში—კლანაძესთან, თელავში—პრეხელი ცისკარაშვილთან, სიღნაღში ამხანაგობის მალახაში, ვლადიკავკაში მასწავლებელ ბოციქესთან. 15—7.

შ ი ნ ა თ რ ს ი

სალიტერატურო განყოფილება: ორი საყურადღებო განკარგულება ყოვლად საძვედლო ბესარიონისა.—ავგაკობის ვაფრელება ახ ჩვენს დროში სარწმ. შემკირების მიზეზითა.—კორესპონდენცია რაქიდან.—წერილი რედაქციისადმი იერუსალიმიდან.—უწყობდეს სინოდის განკარგულებანი.—ახალი ამბები და შენიშვნები.

სავალა და მისინიკაბა პრისტიანობიკის სარწმუნოებასა და კითილ ჴნობაზა. სიტყვა კვირაქესა მენესლასებულებათა.—შეწირულებანი.—საეკცია კითხვის განბარტება.—რედაქციისაგან.—განცხადებანი.

Редакторъ-издатель П. Д. Гамбашидзе. Доволено цензурою. Тифлисъ 30 Апрелья 1896 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ, на Пѣвчеюй ул